პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
— იანვარი 2026 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევისთვის, მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის და სამი გასასვლელისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ომარ ფურცელაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევს, მიენიჭოს ომარ ფურცელაძის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. გლდანის რაიონში, ვლადიმერ ჯანჯღავას III შესახვევთან არსებულ ერთ უსახელო ჩიხს და სამ უსახელო გასასვლელს მიენიჭოს ომარ ფურცელაძის I ჩიხის და I, II, III გასასვლელის სახელი. თანდართული რუკის თანახმად.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

X=484625 Y=4628555
X=484659 Y=4628609
X=484547 Y=4628568
III გას
I ჩიხი
X=484696 Y=4628488
X=484440 Y=4628428
X=484608 Y=4628528
ომარ ფურცელაძის ქ.
II გას
X=484476 Y=4628334
X=484361 Y=4628264
I გას
X=484377 Y=4628224
ომარ ფურცელაძის ქ.
X=484391 Y=4628139
1:3,000

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032536060**
თარიღი: **26/12/2025**

ადრესატი: ვეტერანების სახელმწიფო საქმეთა სამსახური

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორს
გენერალ-მაიორ კობა კობალაძეს

ბატონო კობა,

როგორც მოგეხსენებათ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ქუჩათა ქსელების სისტემური სახელდების ფარგლებში, გლდანის რაიონში არსებულ ქუჩებს მიენიჭა გელა ოჩიაურის, მიხეილ გამკაძის და ბადრი ჭინჭარაულის სახელები.

აღნიშნული ქუჩები მდებარეობს ერთმანეთის მიმდებარედ, ე.წ. გლდანის ხევის ტერიტორიაზე. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ხსენებულ დასახლებაში გზათა ქსელების სისტემური მიდგომით სახელდებას 2026 წელსაც გააგრძელებს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით გამოკვეთილია რამდენიმე მონაკვეთი, რომელთა სახელდებაც არსებითად მნიშვნელოვანია. ერთ-ერთი ასეთი მონაკვეთისთვის კომისია განიხილავს გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭების ინიციატივას, თქვენი დადებითი რეკომენდაცია ქუჩისთვის გურამ სოლოღაშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით კომისიის მიერ უკვე გამოთხოვილია და მიმდინარეობს აქტიური პროცედურები.

ე.წ. გლდანის ხევის მოსახლეობის მიერ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიასთან კომუნიკაციის დროს გაჟღერდა სურვილი, რათა დასახლებაში არსებულ კიდევ ერთ ქუჩას მიენიჭოს აფხაზეთში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის, ომარ ფურცელაძის სახელი.

მოგვმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ ომარ ფურცელაძის საომარ მოქმედებებში ყოფნასთან და ჯილდოებთან დაკავშირებით (არსებობის შემთხვევაში) თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია. ასევე გვაცნობოთ თქვენი პოზიცია აღნიშნულ სახელდებასთან დაკავშირებით.

პატივისცემით:

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ
ვეტერანების საქმეთა
სახელმწიფო სამსახური
საქართველო, თბილისი, ორთაჭალა, გიორგი გურამიშვილის ქუჩა N12ა.
ტელ: (+995 32) 248 16 26, ელ-ფოსტა: info@veterans.gov.ge

LEPL
State Service of
Veterans Affairs
12A GIORGI GURAMISHVILI STR. ORTACHALA TBILISI, GEORGIA
Tel: (+995 32) 248 16 26, E-mail: info@veterans.gov.ge

SSVA 00043547

29/12/2025

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს ბატონ ლევან აბაშიძეს

ბატონო ლევან,

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში შემოსული თქვენი 2025 წლის 26 დეკემბრის №03-032536060 წერილის (სამსახურში რეგისტრაციის №43399) პასუხად, რომელიც შეეხება ქ. თბილისში არსებული ერთ-ერთი ქუჩისთვის ომარ ფურცელაძის სახელის მინიჭებას, გაცნობებთ შემდეგს:

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში დაცული ინფორმაციის თანახმად, ომარ ელდარის ძე ფურცელაძე ნამდვილად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში აფხაზეთში და გმირულად დაიღუპა 1992 წლის 14 აგვისტოს, ქ. სოხუმთან, საბრძოლო ვითარებაში. საქართველოს დაცვისას გამოჩენილი მამაცობისათვის და მხედრული ვალის შესრულებისათვის, ვაჟკაცობისა და გაბედულებისათვის, სიკვდილის შემდეგ, უმარ ფურცელაძე დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისთვის".

სამშობლოს წინაშე ომარ ფურცელაძის დამსახურების გათვალისწინებით, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური მხარს უჭერს თბილისში არსებული რომელიმე ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭებას.

გიგზავნით ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში დაცულ შესაბამის დოკუმენტაციას.

დანართი: 6 ფურცელი.

პატივისცემით,

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის
დირექტორი
გენერალ-მაიორი

კობა კობალაძე

„ვამტკიცებ"

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა
მინისტრის მოადგილე, ქ. თბილისის შინაგან
საქმეთა სამმართველოს უფროსი,
მილიციის პოლკოვნიკი

დ. ა. ზეიკიძე

„ 25 " აგვისტო 1992 წელი

ქ. თბილისი

დ ა ს კ ვ ნ ა

სამსახურებრივი შემოწმებისა ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლების პ.ზ. ნათენაძისა და ო.ე. ფურცელაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით

ქ.თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში შემოვიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ 14 აგვისტოს ქ.სოხუმის მისასვლელთან დაიღუპნენ ქ.თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლები, მილიციის მაიორი პ. ნათენაძე და ო.ფურცელაძე.

<u>სამსახურებრივი შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:</u>

1992 წლის 13 აგვისტოს ქ.თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს გარნიზონის მილიციის თანამშრომლები გაემგზავრნენ დასავლეთ საქართველოში საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად. სხვებთან ერთად გაემგზავრნენ შ.ჟივიძე, ო.ფურცელაძე და პ.ნათენაძე ამ უკანასკნელის ავტომანქანით უაზ-469-ით. იმავე დღესვე ჩავიდნენ ქ.სენაკში, სადაც დაბანაკდნენ. 14 აგვისტოს დაახლოებით 10 საათზე კოლონა გაემგზავრა ქ.სოხუმის მიმართულებით. დაახლოებით 14.00 საათისათვის არ შესული ქ.სოხუმში, პ.ნათენაძის ავტომანქანას აუტეხეს სროლები, რა დროსაც პ.ნათენაძე და ო.ფურცელაძე სასწრაფოდ გადმოხტნენ ავტომანქანიდან, დაიკავეს საბრძოლო პოზიცია და გახსნეს ცეცხლი. საპასუხო სროლით თავის არეში დაჭრილი იქნა პ.ნათენაძე. ო.ფურცელაძე და შ.ჟივიძე ხოხვით მივიდნენ დაჭრილთან და ცდილობდნენ მოფარებულ ადგილზე გაყვანას. ამ დროს ცეცხლი არ წყდებოდა და ერთ-ერთი ნასროლი ტყვია თავის არეში მოხვდა ო.ფურცელაძესაც, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. როგორც შემდეგ გაირკვა, მიღებული ჭრილობით გარდაცვლილი იყო პ.ნათენაძეც. რამოდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე მოვიდა მძიმე ტექნიკა. გვარდიელებმა და მილიციის თანამშრომლებმა გამოიყვანეს გარდაცვლილები პ.ნათენაძე და ო.ფურცელაძე,

ასევე იქ მყოფი შ.ჟივიძე და ფეხში დაჭრილი მ.ლომიძე.

ამრიგად, 1992 წლის 14 აგვისტოს ბრძოლის ველზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ ქ.თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი პ.ზ.ნათენაძე და ქ.თბილისის დიდუბის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ტაქსის მძღოლებზე დანაშაულებრივი ხელყოფისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უმცროსი ინსპექტორი, მილიციის ზემდეგი ო.ე.ფურცელაძე.

<u>ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლი:</u>

-ქ.თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი პაატა ზელიმხანის ძე ნათენაძე და ქ.თბილისის დიდუბის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ტაქსის მძღოლებზე დანაშაულებრივი ხელყოფისა- და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ მებრძოლი ქვეგანყოფილების უმცროსი ინსპექტორი, მილიციის ზემდეგი ომარი ელდარის ძე ფურცელაძე გარიცხულ იქნენ პირადი შემადგენლობის სიიდან გარდაცვალებასთან დაკავშირებით სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს.

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს
კადრების განყოფილების განსაკუთრებული
ინსპექციის უფროსი ოპერრწმუნებული
მილიციის პ/პოლკოვნიკი.

ო. ვ. ნადარაია

„ვეთანხმები“

ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს
კადრების განყოფილების უფროსი
მილიციის პოლკოვნიკი

ა. ი. გიორგიძე

„25 “ აგვისტო 1992 წელი

მედალი „მხედრული მამაცობისათვის“



00039

ომარ

(სახელი)

[illegible]

(გვარი)

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წ. „[illegible]“ [illegible] ბრძანებულებით დაჯილდოვდა

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“

საქართველოს სახელმწიფოს მეთაური:

[illegible]

СВИДЕТЕЛЬСТВО О СМЕРТИ
გარდაცვალების მოწმობა

Гражданин (ка) / მოქალაქე [illegible]
(фамилия — გვარი)

[illegible]
(имя, отчество — სახელი, მამის სახელი)

умер (ла) / გარდაიცვალა 15.08.92 [illegible]
(число, месяц, год — რიცხვი, თვე, წელი)

[illegible]
(цифрами и прописью — ციფრებით და სიტყვიერად)

в возрасте 21 лет, о чем в книге регистрации актов о смерти
წლის ასაკში, რაზეც გარდაცვალების აქტების სარეგისტრაციო წიგნში

19 92 года / წელს 08 месяца / თვის 17 числа / რიცხვს

произведена запись за / მოხდენილია ჩაწერა № 7464

Причина смерти / გარდაცვალების მიზეზი [illegible]

Место смерти: город, селение / გარდაცვალების ადგილი: ქალაქი, სოფელი [illegible]

район / რაიონი

область, край / ოლქი, მხარე

республика / რესპუბლიკა [illegible]

Место регистрации / რეგისტრაციის ადგილი [illegible]

наименование и местонахождение органа ЗАГСа — [illegible]

Дата выдачи / გაცემის თარიღი "17" 08 1992

М. П. / ბ. ა.

Заведующий отделом (бюро) записи актов гражданского состояния
[illegible]

III-ТП № 273375

МТ Гознака. 1983. Грузинский яз.

[illegible]

[illegible]

ოქმი N 526

„_____" ____________200 წ.

ქ. თბილისი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი: კომისიის თავმჯდომარე საქართველოს ვეტერანთა საქმეების ომბუდსმენი ნოდარ ხუციშვილი, კომისიის წევრები: იოსებ მესხიშვილი, არსენ რაზმაძე, ნოდარ ტურტურაშვილი, რომან მაისურაძე, პეტრე გიორგაძე, [illegible] მაჭავარიანი, ემზარ კვირტია, [illegible] ლოლაძე, თენგიზ [illegible], [illegible] მურმან [illegible], ჯოტო კობალიანი.

შევადგინეთ აღნიშნული ოქმი მასზედ, რომ განხილული იქნა შემოსული განცხადება იმის ვეტერანის სტატუსის მინიჭების შესახებ.

მოქალაქე:

წოდება [illegible]

გვარი [illegible]

სახელი [illegible]

მამის სახელი [illegible]

დაბადების წელი 1971 წლის 25 [illegible]

საცხოვრებლის მისამართი(ტელეფონით) [illegible] 3 3-ე [illegible] 304 [illegible]

ტ. 79-51-71 899 289-789

მიღებული ჭრილობა, წარჩინება [illegible]

რა პერიოდში ღებულობდა მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებებში 13-14 აგვისტო 1992 წელი

☐ ცხინვალის

☑ აფხაზეთი [illegible]

დანაყოფი [illegible]

მოკლე საბრძოლო მოკვლევა

1992 წლის 13 აგვისტოს [illegible]

დაბადების მოწმობა
СВИДЕТЕЛЬСТВО О РОЖДЕНИИ

მოქალაქე
Гр. .... (გვარი — фамилия)
.... სახელი და მამის სახელი — имя и отчество
დაიბადა
Родился (лась) (თარიღი სიტყვებით და ციფრებით — год, месяц и число прописью и цифрами)

ბავშვის დაბადების ადგილი: ქალაქი, სოფელი
Место рождения ребенка: город, селение

რაიონი
Район

ოლქი, რესპუბლიკა
Область, республика

რის შესახებ დაბადების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერ წიგნში
о чем в книге записей актов гражданского состояния о рождении

19__ წლის / года .... თვის / месяца .... რიცხვს / числа
მოხდა შესაბამისი ჩანაწერი
произведена соответствующая запись
за № .... -ით.

2-е отд-ние РОВД ук. 26-Комиссаров г. Тбил.
ВЫДАН ПАСПОРТ
серия XVI-ТФМ № 561514
"РОДИТЕЛЯМ"
1987 г.

მამა
Отец .... (გვარი — фамилия)
.... სახელი და მამის სახელი — имя и отчество
ეროვნება
национальность

დედა
Мать .... (გვარი — фамилия)
.... სახელი და მამის სახელი — имя и отчество
ეროვნება
национальность

რეგისტრაციის ადგილი
Место регистрации (ბიუროს დასახელება და ადგილმდებარეობა — наименование и местонахождение бюро ЗАГС)

გაცემის თარიღი
Дата выдачи .... 19__ г.

I-ГТ № 672533

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერის ბიუროს გამგე
Заведующий Бюро записей актов гражданского состояния

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032602285**
თარიღი: **22/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის, გენერალ-მაიორ კობა კობალაძის 2025 წლის 29 დეკემბრის საქმე #06-032536386-03 დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ გლდანის რაიონსი არსებული უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 9 (ცხრა) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0126026331**
თარიღი: **26/01/2026**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ ლევან აბაშიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო ლევან,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 22.01.2026 წლის # 03-032602285 (22.01.2026წ. #14-01260222422-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ომარ ფურცელაძე

(1971-1992)

აფხაზეთში დაღუპული მებრძოლი. ზემდეგი, გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოებულია მედლით „მხედრული მამაცობისთვის“

ომარ ფურცელაძე დაიბადა 1971 წლის 25 აპრილს თბილისში.

დაამთავრა 124-ე საშუალო სკოლა, სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა გერმანიაში, ქალაქ პოსტდამში. 1991 წლის სექტემბრიდან მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის სამმართველოში სისხლის სამართლის სამძებროში ოპერრწმუნებულად.

1992 წლის 14 აგვისტოს სოხუმისკენ მიმავალ გვარდიას წინ მიუძღოდნენ თბილისის პოლიციის სამმართველოს სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკები. ომარი პირველ მანქანაში იჯდა-ტყვარჩელთან ატყდა სროლა. ცეცხლი აფხაზებმა გახსნეს. იგი გმირულად დაიღუპა საბრძოლო ვითარებაში.

ომარ ფურცელაძე საქართველოს დაცვისას გამოჩენილი მამაცობისთვის და მხედრული ვალის შესრულებისთვის, ვაჟკაცობისა და გაბედულებისთვის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით „მხედრული მამაცობისათვის“,

დაკრძალულია თბილისში, დამპალოს სასაფლაოზე.